

მუსლიმი მესხების აკულტურაცია საქართველოში

ეკატერინე ფირცხალავა, ანნა გვეტაძე

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, დოქტორანტი

ანოტაცია

საზოგადოებები განსხვავდებიან ერთმანეთისგან თავიანთი ეკომონიკური, ისტორიული და პოლიტიკური კონტექსტით, რომელიც თავის მხრივ გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ ან ინდივიდები, როგორ ურთიერთკავშირში იქნებიან ერთმანეთთან. კულტურებს შორის ურთიერთობის კვლევისას ადაპტაცია ინტეგრაციის პროცესი საინტერესო ფენომენია. განსხვავებული კულტურების შეხვედრისას მკვლევარების (Berry, 2006) მიხედვით აკულტურაციის პროცესი სხვადასხვა სტრატეგიით ხორციელდება. ადამიანები განსხვავებულ გარემოსა და სიტუაციაში განსხვავებულ სტრატეგიებს ანიჭებენ უპირატესობას. ინტეგრაცია, სეპარაცია, მარგინალიზაცია და ასიმილაცია არის ის სტრატეგიები, რომელთაც ირჩევს ჩამოსული კულტურა დამხვედრ კულტურასთან ცხოვრების პროცესში. აკულტურაციის პროცესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იძულებითი გადაადგილების შემთხვევათა კვლევისას, რადგან ამ დროს ინდივიდს უწევს ახალ გარემოსთან, კულტურასა და ხალხთან ადაპტაცია. კვლევის მონაწილეები არიან საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრები რეპატრირებული მუსლიმი მესხები, რომლებიც მეოცე საუკუნეში მეორე მსოფლიო ომის დროს სტალინის ბრძანებით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან დეპორტირებული იყვნენ შუა აზიის რესპუბლიკებში. სტატიაში წარმოდგენილია კვლევის, რომელიც საქართველოში მცხოვრები, რეპატრირებული მუსლიმი მესხების ცხოვრების ცალკეული ასპექტების შესწავლას ეხება, ნაწილის მონაცემები. რაოდენობრივი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გაანალიზებულია მონაცემები იმის შესახებ, თუ აკულტურაციის ოთხი სტრატეგიიდან, რომელს ირჩევენ საქართველოში რეპატრირებული მუსლიმი მესხები.

საკვანძო სიტყვები: აკულტურაცია, ინტეგრაცია, მარგინალიზაცია, სეპარაცია, ასიმილაცია, მუსლიმი მესხები.

შესავალი

მუსლიმი მესხების ინტეგრაციის საკითხისადმი მეცნიერული ინტერესი განაპირობა ამ საზოგადოების დახურულობამ, მიუხედავად იმისა რომ მე-19 საუკუნის 80-იან წლებიდან საქართველოში ცხოვრებისა მათი ინტეგრაციის პროცესი ადგილობრივ მოსახლეობასთან გამოწვევად რჩება (Sumbadze, 2007). მუსლიმი მესხები, მეორე მსოფლიო ომის საქართველოს სამხრეთ დასავლეთ ტერიტორიებიდან გასახლებული მაჰმადიანი მოსახლეობაა, რომლებიც დეპორტაციის შედეგად გაფანტულად ცხოვრობდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებში. დეპორტაციის

შედეგად მუსლიმი მესხები განსხვავებულ სოციოკულტურულ პირობებში იძულებით არსებობის წინაშე აღმოჩნდნენ. მიგრანტებისთვის ცხოვრების გაგრძელებისთვის ინტეგრაცია საუკეთესო გზააა მიჩნეული (Berry, J.1997). ინტეგრაციის ხელშემწყობ ფაქტორებს მიეკუთვნება: ინდივიდის უნარები ახალი ენისა და კულტურის შესასწავლად, დომინანტური და პირველადი კულტურების ღირებულებათა მეტ-ნაკლები არაწინააღმდეგობრიობა, საზოგადოების გახსნილობა ახალ წევრთა მიმღებლობისადმი, ტოლერანტობა და სხვ. საზოგადოები განსხვავდებიან ერთმანეთისგან სხვადასხვა ფაქტორით. არაერთგვაროვან საზოგადოებაში არის გარკვეული ვარიანტები, რომლების ნაწილობრივ თვალსაჩინოა. ეს მოიცავს ეკომონიკურ, ისტორიულ და პოლიტიკურ კონტექსტს, რომელიც გავლენას ახდენს იმაზე, თუ ჯგუფები ან ინდივიდები, როგორ ურთიერთკავშირში იქნებიან ისინი აკულტურაციისას (Ward, Bochner & Furnham, 2001). გამოიყოფა (Sam., Berry (2006); Berry (2001); Sammut (2010); Padilla(2004) რიგი ფაქტორების, რომელიც ხელს უწყობს ინტეგრაციის პროცესს, მაგალითად ემიგრანტის ინდივიდუალური უნარ-ჩვევები, ახალი ენისა და კულტურის შესწავლის სურვილი და სხვა. ორ კულტურას შორის ურთიერთკავშირები არ არის ახალი ფენომენი. სხვადასხვა კულტურის შეხვედრები და შეხვედრებისგან გამოწვეული ცვლილებები არის ის, რასაც ჩვენ მოვიხსენიებთ, როგორც აკულტურაცია (D.L. Sam; J.W. Berry 2006). ფსიქოლოგიური აკულტურაცია მიესადაგება იმ ცვლილებებს, რომელსაც ადამიანი განიცდის სხვა კულტურასთან ურთიერთობის შედეგად (Graves, 1967 as cited in Sam, 2006a). ენისა და რელიგიური განსხვავებულებების გარდა, ხალხი განსხვავდება სხვადასხვა კულტურული მახასიათებლებით, რომელსაც გავლენა აქვს აკულტურაციაზე და რაც უფრო დიდია ეს განსხვავება, მით უფრო რთულია აკულტურაციის პროცესი (D.L. Sam; J.W. Berry 2006). სტატიაში წარმოდგენილია მონაცემები კვლევიდან, რომელიც საქართველოში მცხოვრები, რეპატრირებული მუსლიმი მესხების ცხოვრების ცალკეული ასპექტების შესწავლას ეხება. კვლევის მიზანია ვიკვლიოთ რა შეიცვალა მუსლიმი მესხების ცხოვრებაში ბოლო წლების განმავლობაში მათი ადაპტაცია-ინტეგრაციის თვალსაზრისით.

მოცემულ სტატიაში გაანალიზებულია მონაცემები იმის შესახებ თუ როგორია საქართველოში მცხოვრები მუსლიმი მესხების აკულტურაციის პროცესი საქართველოში.

1.1 ზოგადი ინფორმაცია მუსლიმი მესხების შესახებ

მეორე მსოფლიო ომის დროს, 1944 წლის 15 ნოემბერს სტალინის პოლიტიკის გავლენით, მოხდა მესხეთ-ჯავახეთიდან უმრავლესად თურქულად მოლაპარაკე მაჰმადიანი მოსახლეობის დეპორტაცია შუა აზიის ქვეყნებში. დეპორტირებული მუსლიმი მესხების უმრავლესობა, რომლებიც არაქართულ სამეცნიერო წყაროებში ხშირად მოიხსენიება, როგორც „თურქი მესხები“ ქართული ისტორიული წყაროების თანახმად, ეთნიკური ქართველია, რომლებიც თითქმის სამი (VI-VIII სს) საუკუნის განმავლობაში, ოტომანთა იმპერიის მიერ დაპყრობილ სამცხე-ჯავახეთში, მათი ბატონობის ქვეშ ცხოვრობდნენ, რაც აისახა მათ ყოფაზე, სარწმუნოებაზე და ენაზე (Sumbadze, 2007; Maglakelidze, 1994; Nozadze, 1989).

დეპორტაციაში ხანგრძლივად მცხოვრებ მუსლიმ მესხებს სხვადასხვა დროს ჰქონდათ საქართველოში რეპატრაციის მცდელობები. მე-20 საუკუნის 70-იან წლებში რეპატრაციის პირველი ტალღის დროს ისინი ჩასახლდნენ დასავლეთ საქართველოში,

კერძოდ სამეგრელოში, იმერეთსა და გურიაში. რეპატრიანტთა ნაწილი დარჩა სამშობლოში და უკვე 40 წელზე მეტია ცხოვრობს სამტრედიის და ოზურგეთის რაიონის სოფლებში, ნაწილი თბილისში. მცირე ნაწილი უკან დაბრუნდა.

1999 წელს ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულების, დეპორტირებული მოსახლეობის სამშობლოში დაბრუნების შესრულება საქართველოში რეპარტიაციის კანონზე მუშაობით დაიწყო. 2007 წლის 11 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი (№ 5261) "ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპარტიაციის შესახებ" რომელიც მოქმედებაში შევიდა 2012 წელს.

კანონის მიღების შემდეგ მუსლიმი მესხების ნაწილი არ დაელოდა კანონის ძალაში შესვლას. თვითდინებით ჩამოვიდა საქართველოში და დასახლდა სამტრედიასა და ახალციხეში. კანონის ძალაში შესვლის შემდეგ ჩამოსული რეპატრიანტის სტატუსის მქონე მუსლიმი მესხები კი ცხოვრობენ ახალციხის მუნიციპალიტეტში.

მუსლიმი მესხების საზოგადოება არის ტრადიციული და დახურული საზოგადოება, რომელშიც ინდივიდების ქცევა განსაზღვრულია ამ საზოგადოებისთვის ისტორიულად მოცემული მოდელებით, რომლისთვისაც დამახასიათებელია სტაბილური სოციალური ქცევის წესები, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. ასეთ საზოგადოებაში ცვლილება ნელა მიმდინარეობს, ხოლო თვით საზოგადოებისათვის დამახასიათებელია მექანიკური სოლიდარობა (Pirtskhalava, 2014).

მუსლიმი მესხების ოჯახში ტრადიციული მამაკაცური და ქალური როლები განსაზღვრულია გენდერული ნიშნის მიხედვით. ეს კოლექტივისტური კულტურის წარმომადგენლობით და მათი რელიგიით არის განპირობებული. მათთვის დამახასიათებელია გაფართოებულ ოჯახებად ცხოვრებაც, ოჯახების შექმნისას ჰომოგამია, მშობლების მნიშვნელოვანი როლი ოჯახის შექმნის პროცესში. ძირითადად მონოგამიური ოჯახები აქვთ, ასევე უნდა აღინიშნოს გენდერული სეგრეგაცია განათლებაში. არსებულმა კვლევებმა (Trier, & Khanzhin, 2007) დაადასტურა, რომ მუსლიმი მესხების ასიმილაცია არ მომხდარა წლების განმავლობაში არსად, არც ერთ ადგილსამყოფელ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, სადაც ისინი გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ცხოვრობენ (Sumbadze, 2007) მუსლიმი მესხების კომპაქტურად ჩასახლების გამო მათი ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრაციის პროცესი საქართველოში პრობლემურ საკითხი იყო. მათ ეთნიკურ იდენტობასთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები, წლების განმავლობაში ისინი სამეცნიერო წყაროებში მოიხსენიებიან როგორც თურქი მესხები, ქართულ ისტორიულ წყაროებში ისინი მაჰმადიანი ქართველები არიან, ხოლო თვითონ მუსლიმი მესხების ჯგუფი ორ ნაწილად შეიძლება განვიხილოთ, ნაწილი ქართული ორიენტაციის, რომელიც ისტორიულად ქართულ წარმოშობას აღიარებს, და არის მეორე ნაწილი, რომელიც ამბობს რომ ისინი არიან თურქები, მაგარმ არა თურქეთიდან არამედ ახალციხიდან, და ბოლო ათწლეულები საკუთარ თავს აიდენტიფიცირებს, როგორც აპიცხა თურქს.

1.2 ზოგადი მონაცემები საქართველოში მცხოვრები მუსლიმი მესხების

შესახებ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს, ოფიციალური მონაცემები საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მაჰმადიანი მესხების რაოდენობის შესახებ ცალკე არ აქვს, ხოლო იმ მონაცემების მიხედვით, რომელიც გვაქვს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ

პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, რეპატრაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტიდან არის ის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს დაახლოებით 125 ოჯახი, აქედან თბილისში დაახლოებით 10, ახალციხის რაიონში 60, სამტრედიისში 36, ოზურგეთში 24, გორის რაიონში 4 ოჯახი. 2012 წლის შემდეგ ჩამოვიდა 16 ოჯახი და 67 პიროვნება ცალკე.

2. თეორიული მიმოხილვა

ფსიქოლოგიური აკულტურაცია მიესადაგება იმ ცვლილებებს, რომელსაც ადამიანი განიცდის სხვა კულტურასთან ურთიერთობის შედეგად (Graves, 1967 as cited in Sam, 2006a). აკულტურაცია მოიცავს ყველა იმ ცვლილებას, რომელიც გამომდინარეობს ინდივიდებისა ან ჯგუფების კონტაქტით, რომელთაც აქვთ სხვადასხვა კულტურული ფონი.

არსებობს აკულტურაციის მოდელებისა და აკულტურაციის საზომების რამდენიმე სახე. არის დისკუსიები იმის შესახებ, თუ რომელი მოდელი გამოხატავს აკულტურაციის პროცესს და რომელი ზომავს აკულტურაციას ყველაზე ზუსტად (Flannery Reise & Yu, 2001, Kang, 2001). რედფილდმა (Redfield, 1934), ლინტონმა (Linton, 1934) და ჰერკოვიცმა (Herskovits, 1934), აკულტურაცია განსაზღვრეს, როგორც „ის ფენომენი, რომელიც ჩნდება, როდესაც ინდივიდთა ჯგუფებს, განსხვავებული კულტურებით, აქვთ მუდმივი პირველადი კონტაქტი, შემდგომი ცვლილებებით პირველადი კულტურის პატერნებში, ერთ-ერთ ან ორივე ჯგუფში“ (Redfield et al., 1934:149). 2004 წელს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (IOM) აკულტურაცია განსაზღვრა, როგორც „ინდივიდის, ჯგუფისა ან კლასის მიერ უცხო კულტურის ელემენტების პროგრესული ადაპტაცია (იდებები, სიტყვები, ღირებულებების, ნორმების, ქცევის, ინსტიტუციების) (IOM, 2004). ჩვენ დავეყრდენით ბერის აკულტურაციის თეორიას, რომლის მიხედვითაც აკულტურაცია მოიცავს ოთხ სტრატეგიას:

1. ასიმილაცია: როდესაც ინდივიდს არ აქვს სურვილი ჰქონდეს კავშირი მშობლიურ კულტურასთან და ცდილობს უფრო აქტიურად იყოს ჩართული მასპინძელ კულტურაში; ასიმილაცია არის ორი კულტურის ურთიერთქმედების პროცესი, რომლის შედეგადაც ერთ-ერთი მათგანი კარგავს საკუთარ იდენტობას და შთაინთქმევა მეორეს მიერ (Sam & Berry, 2006).

2. ინტეგრაცია: როდესაც ინდივიდი ინარჩუნებს კავშირს მშობლიურ კულტურასთან და ამავე დროს აქტიურად არის ჩართული მასპინძელ კულტურაში (Sam & Berry 2006).

3. სეპარაცია: ინდივიდი ინარჩუნებს მჭიდრო კავშირს მშობლიურ კულტურასთან, ხოლო მასპინძელ კულტურასთან კონტაქტი მინიმუმამდეა დაყვანილი; მიესადაგება სხვადასხვა რასის, კულტურისა და წარსულის მქონე ინდივიდებს, რომლებიც არ არიან ძირითად მასასთან და გლობალურ კულტურასთან ასიმილირებულნი და ცდილობენ დარჩნენ განცალკევებით (Sam & Berry, 2006).

4. მარგინალიზაცია: ინდივიდი თავს არიდებს როგორც მშობლიურ, ასევე მასპინძელ კულტურას. უმრავლესობის წარმომადგენლები გაურბიან უმცირესობათა ჯგუფის წევრებს. ხდება მათი მარგინალიზაცია. უმცირესობათა ჯგუფი და მათთან დაკავშირებული საკითხები უხილავი ხდება საზოგადოებისთვის. ადამიანთა კლასისა ან ჯგუფის ნაკლებად გახდომის პროცესი ან მეორად პოზიციასთან დაკავშირება. მარგინალიზაციის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს, როდესაც ინდივიდი ერთიანდება, როგორც მეორადი მოსახლეობის კლასი (Sam & Berry, 2006).

ბერის თანახმად, ინტეგრაციის სტრატეგია ასოცირებულია ადაპტაციის საუკეთესო შედეგებთან (Berry, 2006; Sam & Berry, 2010; Ward & Kus, 2012; Ward & Geercert, 2010), მაშინ როცა მარგინალიზაცია ყველაზე უარყოფითთან, ხოლო ასიმილაცია და სეპარაცია საშუალო შედეგებთან (Berry 2006).

სტატიაში წარმოდგენილია „ღია საზოგადოების“ მხარდაჭერით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფის მიერ კვლევითი პროექტის, „მუსლიმი მესხების ადაპტაცია - ინტეგრაციის პროცესის დინამიკისა და სამოქალაქო სოციალური იდენტობის შესწავლა“, ფარგლებში ჩატარებული კვლევის მონაცემების ანალიზის ნაწილი.

ნაშრომში გაანალიზებულია აკულტურაციის რომელ სტრატეგიას იყენებენ საქართველოში მცხოვრები რეპატრირებული მუსულმანი მესხები ქართულ საზოგადოებასთან კონტაქტისას.

3. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებულ იქნა კვლევის როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდები: თვისებრივი კვლევის მეთოდიდან გამოყენებულია სიღრმისეული ინტერვიუ; რაოდენობრივი მეთოდებიდან კი ანკეტირება, შემუშავდა პირისპირ გამოკითხვისთვის კითხვარი, რომელსაც ახლდა პიროვნების საკვლევი ტესტები. სტატიაში წარმოდგენილია რაოდენობრივი კვლევის მონაცემთა ანალიზი.

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა საქართველოს სხვადასხვა რაიონში მცხოვრები დეპორტირებული მუსლიმი მესხები. გამოკითხვა ჩატარდა თითქმის ყველგან, სადაც ისინი ცხოვრობენ: თბილისი, ოზურგეთის რაიონის სოფელ ნასაკირალი, სამტრედიის რაიონის სოფელ იანეთის მე-9 უბანი, ქობულეთის რაიონის სოფელ ცეცხლაური, ახალციხე, ახალციხის რაიონის სოფელ მუგარეთი, აბასთუმანი, ვალე და გორის რაიონის სოფელ წითელუბანი.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა არაალბათური შერჩევის მეთოდები - ხელმისწავდომი შერჩევა და თოვლის გუნდა. კვლევა ჩატარდა ეთიკური სტანდარტების დაცვით.

მონაცემები დამუშავდა სოციალური მეცნიერებებისთვის არსებული SPSS 20 სტატისტიკური პროგრამის გამოყენებით.

წარმოდგენილ კვლევას აქვს შეზღუდვა. შერჩევა არის მცირე და არ არის შემთხვევითი. მუსლიმი მესხების სახლში და ერთმანეთში სალაპარაკო ენაა თურქულის ანატოლიური დიალექტი, საბჭოთა დროში დაბრუნებული რეპატრიანტებთან ანკეტირება ჩატარდა ქართულ ენაზე, ხოლო თურქულ ენაზე მოპალარეკებთან პროფესიონალი თარჯიმნის დახმარებით. მკვლევარების ეთნიკური ქართველობა გავლენას ახდენს მუსლიმი მესხების გულახდილობაზე.

4. კვლევის შედეგები და ანალიზი

დემოგრაფიული მონაცემები

პირისპირ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 183 მუსლიმმა მესხმა. აქედან მდედრობითი სქესის 57,4% ხოლო 42,6% მამრობითი სქესის რესპონდენტია.

როგორც N1 ცხრილიდან ჩანს, გამოკითხული მუსლიმი მესხების უმრავლესობა ცხოვრობს ახალციხეში (36,6%) (უნდა აღინიშნოს, რომ მათი რაოდენობა ახალციხესა და ახალციხის რაიონში მეტია, ვიდრე დანარჩენ რაიონებში, რაც გამოკითხვაშიც აისახა, კვლევის პროცესში აღმოჩნდა, რომ 2012 წლის რეპატრირაციის კანონის ძალაში შესვლის

შემდეგ ჩამოსული მაჰმადიანი მესხების უმრავლესობა ცხოვრობს ახალციხესა და მის შემოგარენში), შემდეგ ადგილზეა ოზურგეთში მცხოვრები (16.9%), ხოლო მათგან ყველაზე მცირე ნაწილს წარმოადგენენ ვალეში (2,7%), ბათუმში (2.2%), ცეცხლაურსა (22,2%) და მუგარეთში (1.6%) მცხოვრები რესპონდენტები.

ცხრ.N1			
ქალაქის/სოფლის სახელი:		სქესი	
	სულ %	კაცი	ქალი
ახალციხე	36,6	43,6%	31,4%
ოზურგეთი	16,9	15,4%	18,1%
სამტრედია	13,1	14,1%	12,4%
აბასთუმანი	12,6	12,8%	12,4%
გორი	7,1	3,8%	9,5%
თბილისი	4,9	2,6%	6,7%
ვალე	2,7	3,8%	1,9%
ბათუმი	2,2	2,6%	1,9%
ცეცხლაური	2,2		3,8%
მუგარეთი	1,6	1,3%	1,9%
სულ	100		

რეგიონებში სქესის მიხედვით მათ გადანაწილებაში, მცირედი სხვაობაა, გამოკითხულთა შორის ახალციხეში, მამაკაცების მეტი რაოდენობაა, ხოლო გორსა და თბილისში მდედრობითი სქესის წარმომადგენლები ჭარბობენ მამრობითს.

ასაკობრივი განაწილება ასე გამოიყურება, გამოკითხულთაგან ყველაზე მეტი რაოდენობის (21,3%) - 18-24 წლამდე ახალგაზრდები არიან. 20,8% არიან 35-44 წლამდე; 25 - 34 წლის რესპონდენტები გამოკითხულთა 18,69% შეადგენს; 45-54 წლის მონაწილეების მთელი გამოკითხულების 14,8% ია; 55-64 წლის რესპონდენტები 13.7% ია; 3.8% -ს წარმოადგენს ორი ჯგუფი ახალგაზრდები 18 წლამდე და 75-84 წლის ხანდაზმულები, ხოლო 85 წლის ზევით არის, 0,5% (n=1).

სქესისა და ასაკის ურთიერთგანაწილებას, თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფში აღინიშნება სხვაობები; კერძოდ, 18 წელს ქვევით რესპონდენტების ნახევარზე მეტი არის ქალი, 18-24 წლების ინტერვალში კაცები, 25-34 წლის რესპონდენტების თითქმის ¾ არის ქალი, 45-54 წლის რესპონდენტების ნახევარზე მეტი კაცი, ხოლო 55—64 ქალი, 65-74 წლის რესპონდენტების 4/5კაცი, 75-85 ½ ზე მეტი. (ცხრ.2)

ცხრ.N2		
ასაკობრივი ჯგუფი	სქესი	
	კაცი	ქალი
<18	42,9%	57,1%
18-24	59,0%	41,0%
25-34	26,5%	73,5%
35-44	26,3%	73,7%
45-54	51,9%	48,1%
55-64	44,0%	56,0%
65-74	80,0%	20,0%
75-85	42,9%	57,1%
85+	100%	
სულ	42,6%	57,4%

რაც შეეხება მაჰმადიანი მესხების განათლებას, სქესის მიხედვით მონაცემები შემდეგი პროცენტული მაჩვენებლებით გადანაწილდა.

ცხრ.N3			
განათლება	სქესი		Total
	კაცი	ქალი	
საშუალო	42,3%	53,3%	48,6%
ტექნიკური/პროფესიული	24,4%	15,2%	19,1%
საბაზო	6,4%	21,0%	14,8%
უმაღლესი	19,2%	1,9%	9,3%
არასრ/ უმაღლესი/სტუდენტი	7,7%	5,7%	6,6%
დაწყებითი		2,9%	1,6%
სულ	100%	100%	100%

ცხრ.N3-ის მიხედვით, გამოკითხული მაჰმადიანი მესხებიდან თითქმის ნახევარს მიღებული აქვს საშუალო განათლება (48,6%), შემდეგი არის ტექნიკური/პროფესიული განათლება (19,1%) და ბოლოს მხოლოდ 9.3% არის უმაღლესი განათლებით.

როგორც ცხრილიდან ჩანს მამაკაცი რესპონდენტებიდან უფრო მეტი არის ტექნიკურ/პროფესიული (24.4%) და უმაღლესი განათლებით (19.2%), ვიდრე ქალები (15,2%), (1,9%). რაც შეეხება განათლებისა და რეგიონების პროცენტულ გადანაწილებას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები მეტნი ცხოვრობენ თბილისში (22,2%), ცეცხლაურსა (25%) და ვალეში (20%), ვიდრე დანარჩენ რეგიონებში. აქედან, თბილისში მცხოვრები უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტები იმყოფებიან 35-54 წლების ინტერვალში, სამტრედიიაში მცხოვრებთაგან უმრავლესობას წარმოადგენენ 35-44 წლის რესპონდენტები, ოზურგეთში უმაღლესი განათლება ძირითადად აქვთ 35-44 (25%) წლის და 55-64 (75%) წლის გამოკითხულებს, ვალესა და აბასთუმანში 45-54 წლის მუსულმან მესხებს, ხოლო ცეცხლაურში 25-34 ასაკის გამოკითხულებს. რაც შეეხება ახალციხეს, ამ რეგიონის მაცხოვრებლებიდან თითქმის ყველა ასაკობრივ ინტერვალში არიან უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტები- 18-24 (16,7%), 35-44 (16,7%), 45-54 (16,7%), 55-64 (16,7%), 65-74 (33,3%). მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ვალესა და აბასთუმანში მცხოვრები მაჰმადიან მესხებს შორის უმაღლესი განათლების მქონენი (20%), არიან 45-64 ასაკობრივი ინტერვალის ადამიანები. ესე იგი ისინი არ არიან საერთო ეროვნული გამოცდებით ჩარიცხულნი უმაღლეს სასწავლებლებში. რაც შეეხება თბილისში (22%) მაცხოვრებლებს მათი ასაკი არის 35-45 და ამგვარად შეიძლება ითქვას, რომ თბილისში უფრო არიან 2005 წლის შემდეგ უმაღლესი განათლება მიღებული ადამიანები.

ცხრ.N4						
ქალაქის/სოფლის სახელი:	განათლება					
	დაწყებითი	საბაზო	საშუალო	ტექნიკური/ პროფესიული	არასრული უმაღლესი/სტუდენტი	უმაღლესი
თბილისი		44,4%	33,3%			22,2%
სამტრედიია	8,3%	29,2%	37,5%	12,5%	4,2%	8,3%
ოზურგეთი	3,2%	19,4%	54,8%	9,7%		12,9%
გორი		53,8%	30,8%		15,4%	
ბათუმი		25,0%		75,0%		
ახალციხე		1,5%	53,7%	25,4%	10,4%	9,0%

ვალე			60,0%		20,0%	20,0%
აბასთუმანი		4,3%	56,5%	30,4%	4,3%	4,3%
მუგარეთი			66,7%	33,3%		
ცეცხლაური			50,0%	25,0%		25,0%
სულ	1,6%	14,8%	48,6%	19,1%	6,6%	9,3%

აღმსარებლობის მიხედვით რესპონდენტების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა (98,9%) მაჰმადიანია, მხოლოდ 0.5- 0,5% (n=1) გამოკითხული არის მართლმადიდებელი ან კათოლიკე.

ოჯახური მდგომარეობის მიხედვით გამოკითხულთა მესამედი (75,4%) არის დაქორწინებული და მონაწილეთა თითქმის მეხუთედი დასაოჯახებელი (18,6%).

ოჯახის წევრების რაოდენობა . კვლევაში მონაწილე მესხების უმეტესობის ოჯახები (53%) შედგება 6-8 წევრისგან, ხოლო რანჟირების მიხედვით მეორე ადგილზეა 4-5 ადამიანისგან შემდგარი ოჯახები (35,5%).

ეკონომიური მდგომარეობა- კითხვაზე რომელი დებულება შეესატყვისება უფრო მეტად თქვენი ოჯახის ამჟამინდელ მატერიალურ მდგომარეობას, რომლის დროსაც რესპონდენტებს მიეწოდებოდათ პასუხების ჩამონათვალი, რომლიდანაც უნდა აერჩიათ ერთი პასუხი, მონაცემები შემდეგნაირად განაწილდა - კვლევაში მონაწილე მაჰმადიანი მესხების 3/5 ზე მეტი თავს მიიჩნევს მატერიალური მდგომარეობის საშუალო საფეხურზე, მხოლოდ 1,5% მათგანს მიაჩნია თავი გაჭირვების ბოლო საფეხურზე და 0,5% (n=1) მიაჩნია თავი მატერიალური კეთილდღეობის უმაღლეს საფეხურზე.

ცხრ. N4.1	
მატერიალური მდგომარეობა	ჯამი %
საჭმლისა და ტანსაცმლის ფული გვაქვს, მაგრამ ხანგრძლივი მოხმარების საგნების ყიდვა არ შეგვიძლია	65
მართლაც ძვირადღირებული საგნების შეძენა გვიჭირს	15,8
საჭმლის ფული გვაქვს, მაგრამ გვიჭირს ტანსაცმლის ყიდვა	14,8
გაჭირვებით გაგვაქვს თავი, ზოგჯერ საჭმლის ფულიც არ გვაქვს	1,6
გაგვაჩნია სახსრები, რომ უცხოეთში წავიდეთ დასასვენებლად, შევიძინოთ ავტომანქანა, ან ბინა/სახლი	0,5
პასუხი არ არის	2,2
სულ	100

შემოსავლის მისაღებად მუშაობა. გამოკითხულთა უმრავლესობა ამჟამად უმუშევარია (67,2%), ქალების დიდი ნაწილი (80%) შემოსავლის მისაღებად არაფერს არ აკეთებს, ხოლო კაცების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი ზუსტად შუაშია, მათი ნახევარი (50%) მუშაობს, ხოლო მეორე ნახევარი არა.

პასუხი კითხვაზე როდის არიან რეპატრირებულნი მონაცემები შემდეგნაირად განაწილდა: კვლევაში მონაწილეთა ყველაზე დიდი ნაწილი საქართველოში მცხოვრები მაჰმადიანი მესხებისა რეპატრირებულია 80-იან წლებში და 2012 წლის შემდეგ. მათ შორის 80-იან წლებში რეპატრირებულია მონაწილეთა თითქმის მესამედი (31,7%), ხოლო 2012 წლის, ანუ რეპატრაციის კანონის ძალაში შესვლის, შემდეგ მონაწილეთა მეოთხედზე მეტი (26,8%). თვითდინებით ჩამოსული მაჰმადიანი მესხები წარმოადგენენ გამოკითხულთა თითქმის მესამედს (32,3%), ხოლო გამოკითხულთა 9%-მა, ამ კითხვაზე პასუხი არ გასცა.

ცხრ. N5	
როდის ხარ რეპატრირებული	
	სულ %
80-იან წლებში	31,7
2012 წლის შემდეგ	26,8
2000-2007 წლები	18,0
2008-2012 წლები	7,7
ჩემით ჩამოვედი (თვითდინებით)	6,6
1967-1994 წლები	1,1
პასუხი არ არის	8,2
სულ	100

მე-6 ცხრილის მიხედვით, თბილისში, სამტრედიაში, ოზურგეთსა და მუგარეთში გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა საქართველოში ჩამოსულია 80-იან წლებში; აბასთუმანში, გორსა და ვალეში მცხოვრები რესპონდენტების ნახევარზე მეტი ჩამოსულია 2000-2007 წლებში, ახალციხეში 2012 წლის წლის შემდეგ.

ცხრ. N6	როდის ხარ რეპატრირებული						
	80-იან წლებში	ჩემით ჩამოვედი (თვითდინებით)	2012 წლის შემდეგ	2000-2007 წლები	2008-2012 წლები	1967-1994 წლები	პასუხი არ არის
ქალაქის/სოფლის სახელი:							
თბილისი	66,7%	11,1%		22,2%			
სამტრედია	70,8%	8,3%					20,8%
ოზურგეთი	71,0%	12,9%					16,1%
გორი	15,4%		15,4%	53,8%	15,4%		
ბათუმი						25,0%	75,0%
ახალციხე	4,5%	6,0%	62,7%	13,4%	11,9%	1,5%	
ვალე	20,0%			80,0%			
აბასთუმანი	17,4%		21,7%	43,5%	17,4%		
მუგარეთი	66,7%			33,3%			
ცეცხლაური	25,0%	25,0%					50,0%
Total	31,7%	6,6%	26,8%	18,0%	7,7%	1,1%	8,2%

აკულტურაციის ტესტის მონაცემთა ანალიზი

კვლევის ფარგლებში, პირისპირ ინტერვიუების დროს კითხვარში ინტეგრირებული იყო სხვადასხვა ფსიქოლოგიური მოცამემების საკვლევი ტესტი, მათ შორის ბერის (Berry,1997) აკულტურაციის ტესტი. მიღებული მონაცემების გაანალიზების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ აკულტურაციის შემადგენელი კომპონენტებიდან მუსლიმ მესხებს ყველაზე მაღალი საშუალო ქულა უფიქსირდებათ ინტეგრაციის მაჩვენებელში, ხოლო შემდეგ კი სეპარაციის მაჩვენებელში. ასიმილაციის და მარგინალიზაციის საშუალო ქულები ნაკლებია შესაძლო საშუალო ქულაზე (3,5), რაც გვამღევეს იმის თქმის შესაძლებლობას, რომ გამოკითხული მუსულმანი მესხები არ განიცდიან ქართულ საზოგადოებაში არც ასიმილაციასა და არც მარგინალიზაციას.

ცხრ.N7				
აკულტურაცია				
	ინტეგრაცია	სეპარაცია	ასიმილაცია	მარგინალიზაცია
საშუალო	4,74	4,04	2,33	1,31
მედიანა	4,20	4,25	2,00	,88
მოდა	4	5	0	0
სტანდარტული გადახრა	1,474	1,772	2,104	1,325
ჯამი	815	696	402	225
N	172	172	172	172

რაც შეეხება სქესის მიხედვით განსხვავებებს, რესპონდენტებს შორის ისინი არ აღმოჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არც ინტეგრაციის ($F(1)= 0,026$; $P=0,872$; $\eta^2=0,000$) არც სეპარაციის ($F(1)=0,208$; $P=0,649$; $\eta^2=0,001$), ასიმილაციისა ($F(1)=1,363$; $P=0,245$; $\eta^2=0,008$) და მარგინალიზაციის ($F(1)=0,023$; $P=0,879$; $\eta^2=0,000$) შემთხვევაში. ე.ი ქალები და კაცები ერთნაირ აკულტურაციის სტატეგიებს ირჩევენ ქართულ გარემოში. ხოლო ასაკობრივ ჯგუფებს შორის განსხვავებას, განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მხოლოდ ასიმილაციის შემთხვევაში ($F(8)=2,421$; $P=0,017$; $\eta^2=0,106$), რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ 18 წელს ქვემოთ მყოფი გამოკითხულები უფრო ასიმილირებულნი არიან ($M=4.55$; $SD=2.440$), ვიდრე სხვა ასაკის გამოკითხულები.

ცხრ.N8					
აკულტურაცია					
ასაკობრივი ჯგუფი		ინტეგრაცია	სეპარაცია	ასიმილაცია	მარგინალიზაცია
<18	M	5,29	4,09	4,55	1,36
	SD	1,311	1,776	2,440	1,545
18-24	M	4,50	3,89	2,23	1,33
	SD	1,378	1,703	2,064	1,501
25-34	M	5,12	3,71	2,79	1,64
	SD	1,417	1,782	2,246	1,249
35-44	M	4,83	4,34	2,45	1,30
	SD	1,477	1,782	2,054	1,128
45-54	M	4,21	4,00	1,34	,98
	SD	1,491	1,905	1,568	1,264
55-64	M	5,16	3,82	2,53	1,51
	SD	1,650	1,821	1,952	1,374
65-74	M	4,76	4,78	1,20	,95
	SD	,974	1,655	1,172	1,987
75-85	M	4,20	5,55	2,20	,43
	SD	1,715	1,388	2,775	,438
85+	M	2,80	4,38	0,00	0,00
	SD				
ჯამი	M	4,74	4,04	2,33	1,31
	SD	1,474	1,772	2,104	1,325

ვინაიდან მუსლიმი მესხები გასწავლებულები არიან სხვადასხვა რაიონში და დასახლების სხვადასხვა ტიპით, კერძოდ სამტრედიასა და ოზურგეთში ისინი

ჩასახლებულები არიან კომპაქტურად, ხოლო სხვა რეგიონებში გაფანტულად საინტერესო იქნებოდა განსხვება სწორედ რეგიონების მიხედვით, მონაცემებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება დასტურდება ANOVA-ს გამოყენებით, ოთხივე სტრატეგიასთან დაკავშირებით, ინტეგრაციასთან ($F(9)=12,388$; $P=0,000$; $\eta^2=0,408$), სეპარაციასთან ($F(9)=8,048$; $P=0,000$ $\eta^2=0,309$), ასიმილაციასთან ($F(9)=10,381$ $P=0,000$ $\eta^2=0,366$) და მარგინალიზაციასთან ($F(9)=8,148$ $P=0,000$ $\eta^2=0,312$) მიმართებაში, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ *ბათუმში* არის ყველაზე ინტეგრირებული მოსახლეობა, შემდეგ მოდის *მუგარეთი, ოზურგეთი, სამტრედია, ცეცხლაური და თბილისი*, ხოლო ყველაზე ნაკლებად ინტეგრირებული საზოგადოება არის აბასთუმანსა და ახალციხეში, რაც სავარაუდოდ გამოიწვეულია იმით, რომ აბასთუმანსა და ახალციხეში მუსულმანი მესხები არიან უფრო კომპაქტურად დასახლებულნი და მათ კომუნიკაცია უწყვეტ ძირითადად თავიანთი სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებთან და არა ადგილობრივ ქართულენოვან ადგილობრივ მოსახლეობასთან. სეპარაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ახასიათებთ აბასთუმნის მაცხოვრებლებს, ხოლო ყველაზე ნაკლები ცეცხლაურისას. რაც შეეხება ასიმილაციასა და მარგინალიზაციის, შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მუგარეთში მცხოვრები მოსახლეობა არის ყველაზე მეტად ასიმილირებული, ხოლო ყველაზე ნაკლებად არიან ვალეში მცხოვრებნი; მარგინალიზაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დამახასიათებელია ცეცხლაურის მაცხოვრებლებისთვის, ხოლო ყველაზე ნაკლები მუგარეთის მაცხოვრებლებისთვის.

ანალიზის პროცესში დავინტერესდით ახდენდა თუ არა რაიმე გავლენას ან ის თუ რამდენ ხანი არის რეპატრიანტი ჩამოსული საქართველოში მათ მიერ აკულტურაციის კონკრეტული სტრატეგიის არჩევაზე და ასევე, რა კავშირი იყო აკულტურაციის სტრატეგიებსა და რეპატრიაციის ხანგრძლივობას შორის. აკულტურაციის ტესტის კავშირს იმასთან, თუ როდის არიან გამოკითხული მუსულმანი მესხები რეპატრირებულნი, რამაც დაადასტურა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსვლა, ოთხივე ფაქტორთან მიმართებაში (ინტეგრაცია $F(16)=10,474$; $P=0,000$ $\eta^2=0,520$); სეპარაცია $F(16)=9,235$ $P=0,000$; $\eta^2=0,488$); ასიმილაცია $F(16)=9,888$; $P=0,000$ $\eta^2=0,505$; მარგინალიზაცია $F(16)=3,285$ $P=0,000$, $\eta^2=0,253$); რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ *ადამიანები, რომლებიც ჩამოვიდნენ 1967-1994 წლებში ყველაზე ინტეგრირებულნი არიან, შემდეგ კი 80-იან წლებში ჩამოსული მესხები; ამგვარად, რაც უფრო დიდი ხანია ისინი ცხოვრობენ საქართველოში, ინტეგრაციის მით უფრო მაღალ საფეხურზე არიან.*

სეპარაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ახასიათებთ, 2008-2012 წლებში და 2012 წლის შემდგომ ჩამოსულ მესხებს. რაც შეეხება ასიმილაციას, ამ შემთხვევაშიც ასიმილაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვთ 1967-1994 წლებში ჩამოსულ რეპატრიანტებს, ისევე, როგორც მარგინალიზაციის მაჩვენებელი. მაშასადამე, როგორც მოსალოდნელი იყო, ცხოვრების დრო დრო განაპირობებს უფრო მაღალი ინტეგრაციის, ასიმილაციისა და მარგინალიზაციის დონეს, რაც ნაკლებია საქართველოში ცხოვრების დრო მით მეტია სეპარაციის მაჩვენებელი.

ცხრ. N9					
აკულტურაცია					
ქალაქის/სოფლის სახელი:		ინტეგრაცია	სეპარაცია	ასიმილაცია	მარგინალიზაცია
თბილისი	M	5,20	3,64	2,79	2,15
	SD	1,292	1,182	2,003	,935
სამტრედია	M	5,78	3,33	3,95	2,27
	SD	1,387	1,429	1,355	1,129
ოზურგეთი	M	5,99	2,79	3,35	1,95
	SD	,794	1,162	1,353	1,543
გორი	M	4,82	3,92	3,06	2,18
	SD	1,133	1,709	1,150	1,132
ბათუმი	M	6,67	3,79	4,43	1,50
	SD	,231	,361	1,237	1,732
ახალციხე	M	3,98	4,70	1,18	,77
	SD	,970	1,608	1,791	1,087
ვალე	M	4,20	3,50	,31	,35
	SD	1,980	,875	,456	,479
აბასთუმანი	M	3,74	5,40	1,77	,55
	SD	1,633	1,910	2,401	,691
მუგარეთი	M	6,07	2,92	6,14	,29
	SD	,577	,315	,515	,505
ცეცხლაური	M	5,50	1,19	4,14	2,78
	SD	1,149	1,423	1,826	,949
როდის ხარ რეპატრირებული					
80-იან წლებში	M	5,92	2,77	3,77	1,88
	SD	1,176	1,313	1,679	1,325
ჩემით ჩამოვედი (თვითდინებით)	M	5,71	2,22	3,78	1,81
	SD	1,033	1,354	1,282	1,336
2012 წლის შემდეგ	M	3,80	5,24	,85	,60
	SD	,816	1,265	1,467	,886
2000-2007 წლები	M	4,00	4,82	1,16	,98
	SD	1,242	1,513	1,591	1,120
2008-2012 წლები	M	3,60	5,25	1,42	,80
	SD	1,189	1,185	1,482	1,021
1967-1994 წლები	M	6,70	3,44	5,93	3,06
	SD	,424	,088	,101	,619
ჯამი	M	4,74	4,04	2,33	1,31
	SD	1,474	1,772	2,104	1,325

მონაცემები განალიზებულ იქნა ასევე განათლების უმაღლესი საფეხურის განსხვავების მიხედვით, ახდენს თუ არა მუსლიმი მესხების განათლება გავლენას ამ ტესტის მაჩვენებლებზე: სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ფიქსირდება ინტეგრაციის ($F(5)=1,875$ $P=0,101$ $\eta^2=0,053$) გარდა ყველა დანარჩენ ფაქტორში (ასიმილაცია $F(5)=2,451$ $P=0,036$ $\eta^2=0,069$; სეპარაცია $F(5)=4,726$ $P=0,002$ $\eta^2=0,108$; მარგინალიზაცია $F(5)=4,030$ $P=0,002$ $\eta^2=0,053$). მიღებული შედეგებიდან გამომდინარე

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასიმილაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ხასიათდებიან დაწყებითი და საბაზო განათლების მქონე რესპონდენტები, სეპარაციას უფრო განიცდიან ტექნიკური, არასრული უმაღლეს დამთავრებული და უმაღლესი განათლების მქონე გამოკითხულები, ხოლო მარგინალიზაციას საბაზო განათლების მქონეები.

კვლევის დროს საინტერსო იყო გვენახა მუსლიმი მესხები უპირატესად იდენტიფიკაციას რაზე აკეთებდნენ, კერძოდ უპირველესი მათთვის მაჰმადიანობაა თუ საქართველოს მოქალაქეობა.

მოცემული ცხრილის (იხN 10) მიხედვით - განსხვავებები აღინიშნება იმის მიხედვით თუ როგორ აღიქვამენ რეპატრიანტები თავს, როგორც საქართველოს მოქალაქედ, თუ როგორც მუსულმანად. აღნიშნული მონაცემების სტატისტიკური მნიშვნელობა დაადასტურა ANOVA ტესტმა (ინტეგრაცია $F(2)=6,411$; $P=0,002$; $\eta^2=0,071$; სეპარაცია $F(2)=15,589$ $P=0,000$ $\eta^2=0,156$; ასიმილაცია $F(2)=22,118$; $P=0,000$ $\eta^2=0,207$; მარგინალიზაცია $F(2)=16,063$ $P=0,000$ $\eta^2=0,160$); ამგვარად შეიძლება იქვას, რომ ისინი ვინც თავს აღიქვამენ, როგორც საქართველოს მოქალაქედ უფრო ინტეგრირებულნი არიან, ნაკლებად განიცდიან სეპარაციას, უფრო ასიმილირებულნი არიან და უფრო მეტად განიცდიან მარგინალიზაციას, ვიდრე ისინი ვინც თავს აღიქვამს, როგორც მუსულმანს.

ცხრ.N10					
აკულტურაცია					
განათლება		ინტეგრაცია	სეპარაცია	ასიმილაცია	მარგინალიზაცია
დაწყებითი	M	6,40	2,71	3,48	1,83
	SD	,721	,921	,577	1,252
საბაზო	M	4,97	3,91	3,34	2,24
	SD	1,275	1,454	1,782	1,091
საშუალო	M	4,61	4,12	2,22	1,20
	SD	1,546	1,796	2,283	1,341
ტექნიკური/პროფესიული	M	4,58	4,74	1,54	,80
	SD	1,354	1,713	1,901	1,057
არასრული უმაღლესი/სტუდენტი	M	4,37	4,43	2,63	1,07
	SD	,906	1,443	1,803	1,530
უმაღლესი	M	5,35	2,46	2,69	1,63
	SD	1,746	1,532	1,783	1,322
მიკუთვნებულობა					
მუსლიმად	M	4,48	4,50	1,70	,96
	SD	1,419	1,608	1,902	1,095
საქართველოს მოქალაქედ	M	5,35	3,09	3,81	2,08
	SD	1,452	1,677	1,774	1,482
ჯამი	M	4,74	4,04	2,33	1,31
	SD	1,474	1,772	2,104	1,325

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება დაფიქსირდა ასიმილაციისა და ინტეგრაციის მაჩვენებლებს შორის, იმის მიხედვით თუ რამდენად იყენებენ რესპონდენტები სოციალურ ქსელებს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ადამიანები, რომლებიც არ იყენებენ სოციალურ ქსელებს არიან უფრო ინტეგრირებულნი ($F(1)=4,570$; $P=0,034$ $\eta^2=0,033$) და ასიმილირებულნი ($F(1)=9,141$ $P=0,003$; $\eta^2=0,063$) ქართულ

საზოგადოებაში, ვიდრე ისინი ვინც იყენებენ. რაც სავარაუდოდ, შესაძლოა დაკავშირებული იყოს იმასთან, რომ ადამიანებს, რომლებიც იყენებენ სოციალურ ქსელებს, უფრო ხშირი კავშირი აქვთ აზერბაიჯანში, თურქეთში, შუა აზიაში დარჩენილ ნათესავებთან, ოჯახის წევრებთან და ამიტომ არ აქვთ ურთიერთობა ადგილობრივებთან, რაც შესაბამისად იწვევს მათი ინტეგრაციის დაბალ მაჩვენებელს.

რაც შეეხება მატერიალურ მდგომარეობას, დადასტურდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ასიმილაციის ($F(5)=4,506; P=0,001 \eta^2=0,120$), სეპარაციისა ($F(5)=2,790 P=0,019 \eta^2=0,078$) და ინტეგრაციის ($F(5)=4,945 P=0,000 \eta^2=0,130$) ფაქტორებს შორის. რაც გვაძლევს იმისი თქმის საშუალებას, რომ ადამიანებს, რომელთაც შეუძლიათ მართლაც ძვირადღირებული საგნების ყიდვა უფრო ინტეგრირებულნი არიან, სეპარაციის გრძნობას ყველაზე მეტად განიცდიან ისინი ვინც თავიანთი მატერიალური მდგომარეობის იდენტიფიცირებას აკეთებენ შემდეგ დებულებასთან „საჭმლისა და ტანსაცმლის ფული გვაქვს, მაგრამ ხანგრძლივი მოხმარების საგნების ყიდვა არ შეგვიძლია“, რაც შეეხება ასიმილაციას, ყველაზე ასიმილირებულნი არიან ადამიანები, რომლებიც მატერიალური კეთილდღეობის ყველაზე მაღალ საფეხურთან აკეთებენ თავიანთი თავის იდენტიფიცირებას.

ცხრ.N11					
აკულტურაცია					
იყენებთ თუ არა სოციალურ ქსელებს		ინტეგრაცია	სეპარაცია	ასიმილაცია	მარგინალიზაცია
ვიყენებ	M	4,64	4,13	2,28	1,28
	SD	1,422	1,808	2,171	1,371
არ ვიყენებ	M	6,04	2,99	3,77	1,59
	SD	1,146	1,445	1,133	1,184
მატერიალური მდგომარეობა					
გაჭირვებით გაგვაქვს თავი, ზოგჯერ საჭმლის ფულიც არ გვაქვს	M	4,60	3,25	3,14	2,63
	SD				
საჭმლის ფული გვაქვს, მაგრამ გვიჭირს ტანსაცმლის ყიდვა	M	5,22	3,58	3,09	1,83
	SD	1,471	1,841	2,261	1,372
საჭმლისა და ტანსაცმლის ფული გვაქვს, მაგრამ ხანგრძლივი მოხმარების საგნების ყიდვა არ შეგვიძლია	M	4,42	4,33	1,87	1,12
	SD	1,405	1,737	1,967	1,272
მართლაც ძვირადღირებული საგნების შეძენა გვიჭირს	M	5,80	3,08	3,72	1,67
	SD	1,330	1,651	1,802	1,410
გაგვაჩნია სახსრები, რომ უცხოეთში წავიდეთ დასასვენებლად, შევიძინოთ ავტომანქანა, ან ბინა/სახლი	M	5,40	3,88	2,43	2,25
	SD				
შემოსავლის მისაღებად აკეთებთ თუ არა რამეს ამჟამად					
კი	M	4,40	4,29	1,77	,96
	SD	1,535	1,831	2,228	1,318
არა	M	4,92	3,92	2,63	1,49
	SD	1,415	1,736	1,983	1,299
ჯამი	M	4,74	4,04	2,33	1,31
	SD	1,474	1,772	2,104	1,325

მონაცემების დამუშავებისას დაფიქსირდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები შემოსავლის ქონისა თუ არ ქონის შორის, ასიმილაციის ($F(1)=6,802$ $P=0,010$ $\eta^2=0,038$), ინტეგრაციისა ($F(1)=4,909$ $P=0,028$ $\eta^2=0,028$) და მარგინალიზაციის ($F(1)=6,293$ $P=0,013$ $\eta^2=0,036$) შემთხვევაში. ადამიანები, რომლებიც შემოსავალს იღებენ ნაკლებად ინტეგრირებულნი არიან, ვიდრე ისინი, ვინც არ მუშაობენ, ასევე უმუშევარი ადამიანები უფრო ასიმილირებულნი არიან ქართულ საზოგადოებაში და უფრო მეტად განიცდიან მარგინალიზაციის გრძობას. *აღნიშნული შედეგები შესაძლოა ახსნილი იყოს იმით, რომ მუსულმანი მესხების დიდი ნაწილი, რომელიც არის დასაქმებული, ძირითადად მუშაობს თურქეთში და აქედან გამომდინარე ისინი ვერ ახერხებენ ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირებას.*

დასკვნები

ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ:

მუსულმანი მესხები ყველაზე ხშირად ირჩევენ ინტეგრაციისა და სეპარაციის სტრატეგიას და ნაკლებად ასიმილაციასა და მარგინალიზაციას.

მუსულმანი მესხები ქართულ საზოგადოებაში არ განიცდიან ასიმილაციასა და მარგინალიზაციას.

რაც უფრო დიდი ხანია რეპატრირებული მუსულმანი მესხები ცხოვრობენ საქართველოში, ინტეგრაციის, მარგინალიზაციისა და ასიმილაციის მით უფრო მაღალ საფეხურზე არიან.

რაც უფრო გვიან არიან ჩამოსულნი მესხები მით მეტად განიცდიან სეპარაციას.

ასიმილაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ხასიათდებიან დაწყებითი და საბაზო განათლების მქონე რესპონდენტები, სეპარაციას უფრო განიცდიან ტექნიკური, არასრული უმაღლეს დამთავრებული და უმაღლესი განათლების მქონე გამოკითხულები, ხოლო მარგინალიზაციას საბაზო განათლების მქონეები.

მუსულმანი მესხები, რომლებიც თავს პირველ რიგში აღიქვამენ საქართველოს მოქალაქედ უფრო ინტეგრირებულნი არიან, ნაკლებად განიცდიან სეპარაციას, უფრო ასიმილირებულნი არიან და უფრო მეტად განიცდიან მარგინალიზაციას, ვიდრე ისინი ვინც თავს აღიქვამს, როგორც მუსულმანს.

სეპარაციის გრძობას ყველაზე მეტად განიცდიან ისინი ვინც თავიანთი მატერიალური მდგომარეობის იდენტიფიცირებას აკეთებენ საშუალო დონესთან, რაც შეეხება ასიმილაციას, ყველაზე ასიმილირებულნი არიან ადამიანები, რომლებიც მატერიალური კეთილდღეობის ყველაზე მაღალ საფეხურთან აკეთებენ თავიანთი თავის იდენტიფიცირებას.

ადამიანები, რომლებიც შემოსავალს იღებენ ნაკლებად ინტეგრირებულნი არიან, ვიდრე ისინი, ვინც არ მუშაობენ, ასევე უმუშევარი ადამიანები უფრო ასიმილირებულნი არიან ქართულ საზოგადოებაში და უფრო მეტად განიცდიან მარგინალიზაციის გრძობას.

გამოყენებული ლიტერატურა

5. Sam, D. L., and Berry, J. W. The Cambridge Handbook of Acculturation Psychology. Cambridge University Press, 2006.
6. Sumbadze, N. 'Back Home Again: The Repatriation and Integration of Meskhetian Turks in Georgia'. Meskhetian Turks at a Crossroads: Integration, Reparation or Resettlement? Edited by T. Trier and A. Khanzihn, .Berlin:, Lit Verlag, 288-340. 2007
7. Berry, John W. "Immigration, Acculturation, and Adaptation." Applied Psychology; IAAP; Norway; 1997; 46:1, 5-34;
8. Ward C., Bochner. S. & Furnham. A., The psychology of culture shock. London : Routledge England, 2001
9. Berry, John W. "Immigration, Acculturation, and Adaptation." Applied Psychology; IAAP; Norway; 1997; 46:1, 5-34;
10. Berry, J. W. "A Psychology of Immigration." Journal of Social Issues 57, no. 3, Washington; Wiley-Blackwell on behalf of the Society for the Psychological Study of Social Issues; 2001; 615-31.
11. Berry J.W., Phinhey J.S., Sam D.L. & Vedder, P. (eds). Immigrant youth in cultural transition: acculturation, identity and adaptation across national groups. Mahwan, NJ: Lawrence Erlbaum associates. International Association for Applied Psychology. Hoboken, New Jersey, Blackwell Publishing, 2006; 303-329
12. Graves T.D., Psychological acculturation in a tri-ethnic community. South-western Journal of Anthropology, Albuquerque, University of New Mexico, 1967; 23, 337-350
13. Sam, D. L., and Berry, J. W. The Cambridge Handbook of Acculturation Psychology. Cambridge University Press, 2006
14. Nozadze, V. საქართველოს აღდგენისთვის ბრძოლა მესხეთის გამო (The Fight for the Revival of Georgia and the Meskhetian Issue). Tbilisi: Teatris Mushakta Kavshiri; 1989;
15. Pirtskhalava.E The Effect of Life In The U.S on Marriage Process in Muslim Meskhetians Family GESJ: Education Science and Psychology 2014 | No.3 (29) (In Georgian)
16. Trier, T., & Khanzhin, A. (Eds.); The Meskhetian Turks at a crossroads: Integration, repatriation or resettlement. Berlin,Germany: LIT Verlag: Berlin; 2007
17. Sumbadze, N. 'Back Home Again: The Repatriation and Integration of Meskhetian Turks in Georgia'. Meskhetian Turks at a Crossroads: Integration, Reparation or Resettlement? Edited by T. Trier and A. Khanzihn, Berlin: Lit Verlag,. 2007.,288-340
18. Graves T.D., Psychological acculturation in a tri-ethnic community. South-western Journal of Anthropology, Albuquerque, University of New Mexico, 1967; 23, 337-350
19. Flannery W.P., Reise S.P. & Yu J. An empirical companson of acculturation models. Personality and social psychology Bulletin, 2001; 27, 1035-1045

20. Redfield R. Linton R. & Herskovits, M. Memorandum on the study of acculturation. *American Anthropologist*, 1936; 38 , 149-152
21. IOM's International Dialogue on Migration; The International Dialogue on Migration Red Book Series; Switzerland; 2004; P5
22. Sam, D. L., and Berry, J. W. *The Cambridge Handbook of Acculturation Psychology*. Cambridge University Press, 2006.
23. Sam, D. L., and Berry, J. W. *The Cambridge Handbook of Acculturation Psychology*. Cambridge University Press, 2006.
24. Sam, D. L. & Berry, J. W. Acculturation: When individuals and groups of different cultural backgrounds meet. *Perspectives on Psychological Science*, 2010, 5, 472-481
25. Ward, C. & Kus, L.; Back to and beyond Berry's basics: the conceptualization, operationalization and classification of acculturation. *International Journal of Intercultural Relations*, 2012; 36: 472-485.
26. Ward, C. & Geeraert, N. Advancing acculturation theory and research: the acculturation process in its ecological context. *Current Opinion in Psychology*, 2016 8, 98-104
27. Sam, D. L., and Berry, J. W. *The Cambridge Handbook of Acculturation Psychology*. Cambridge University Press, 2006.

ნაშრომში არის 12 ცხრილი.

Article received 2018-05-24